

მაია ფირჩხაძე

კრიტიკული აზროვნების განვითარების ზოგიერთი ტექნოლოგია და სტრატეგია

სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების განვითარების კვალდაკვალ ინტელექტუალური შრომა განიხილება როგორც ოსტატობა, გამოავლინო, დააკვირდე, განასხვაო, კლასიფიცირება გაუკეთო, შეაფასო, კრიტიკულად გააანალიზო, შეძლო მოდელირება, გამოიტანო დასკვნა, მიიღო გააზრებული გადაწყვეტილება. ცხადია, ამ უნარების ფორმირება სკოლაში ხდება და ამას ხელს უნდა უწყობდეს სხვადასხვა სასწავლო ტექნოლოგიის გამოყენება, გაკვეთილის ტრადიციულ ფორმებთან მათი შერწყმა.

ამ მხრივ განსაკუთრებით ეფექტურია კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული ტექნოლოგიები, რადგან კრიტიკული აზროვნება ყველაზე მეტად უწყობს ხელს ინფორმაციის გაანალიზებას, კითხვების დასმას და მიღებული შედეგების სტანდარტულ თუ არასტანდარტულ სიტუაციებში გამოყენებას. ვინაიდან კრიტიკული აზროვნება ნეგატიურ განხილვას ან უსაფუძვლო კრიტიკას კი არა, ამა თუ იმ საკითხისადმი გონივრულ მიდგომებს გულისხმობს, კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანისთვის ინფორმაციის გაგება ძირითადად საყრდენ წერტილს წარმოადგენს და არა სწავლების დამამთავრებელ ეტაპს.

ეს პროცესი აქტუალურია იმდენად, რამდენადაც მოსწავლის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია, მისი სააზროვნო პროცესები ტექსტის გაცნობისთანავე „ჩაართოს“, ამიტომ მასწავლებელმა უნდა მოახერხოს გაკვეთილის დასაწყისშივე ისეთ აქტივობათა გამოყენება, რომლებიც აქტიური გონებრივი მუშაობისკენ უბიძგებს მოსწავლეს.

ამგვარ ტექნოლოგიებს შორის გამოიკვეთება კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით (მეთოდის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერები ჯ. სტილი, კ. მერედითი, ჩ. ტემპლი, მის საფუძველს კი წარმოადგენს დ. იუის და ჟ. პიაჟეს ნაშრომები). აღნიშნული ტექნოლოგია თანხმობაშია სწავლების ტრადიციულ ფორმებთანაც. იგი გულისხმობს, რომ:

- ✓ კრიტიკული აზროვნების ზოგიერთ ელემენტს კარგად იცნობენ პედაგოგები;
- ✓ ტექნოლოგიის გამოყენებისას უპირატესობა ენიჭება ურთიერთობას „სუბიექტი/სუბიექტი“;
- ✓ ურთიერთობის ხასიათი და სტილი დემოკრატიულია, დიალოგის ფორმისაა და გამოირჩევა ღიაობით, რეფლექსიურობით;
- ✓ საქმიანობის წამყვანი ტიპია პროდუქტიულობა, შემოქმედებითობა, პრობლემატურობა;
- ✓ ტექნოლოგიის ათვისების საშუალებებია მამიებლობა, რეფლექსია;
- ✓ ამ დროს გაკვეთილის ორგანიზების ფორმებია ინდივიდუალური და ჯგუფური;
- ✓ სწავლის მეთოდებია პრობლემური, ნაწილობრივ-მამიებლობითი, კვლევითი, რეფლექსიური;
- ✓ ტექნოლოგია ხელს უწყობს აზროვნების მოქნილობის ფორმირებას, მიზანსწრაფულობას, შეცდომების გამოსასწორებლად მზადყოფნას, ერთი იდეის მეორით

შეცვლის საფუძვლიანობას, კამათის არგუმენტირებულობას და ორიგინალურ აზროვნებას.

ტექნოლოგიის „კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით“ მოდელი მოიცავს სამ ეტაპს ან სტადიას, რომლებიც ადამიანის მიერ გარე სამყაროს აღქმის სტადიებს შეესაბამება:



I სტადია - გამოწვევა, მოტივაცია - მისი გამოყენება ყოველ გაკვეთილზეა აუცილებელი. იგი საშუალებას გვაძლევს:

- ა) მოვახდინოთ მოცემულ თემაზე ან პრობლემაზე მოსწავლის ცოდნის აქტუალიზაცია და განზოგადება;
- ბ) გამოვიწვიოთ შესასწავლი თემის მიმართ მოსწავლის ინტერესი, გავზარდოთ სასწავლო მოღვაწეობისადმი მისი მოტივაცია;
- გ) გავუღვივოთ მოსწავლეს აქტიური მუშაობის სურვილი არა მარტო გაკვეთილზე, არამედ შინაც.

II სტადია - გააზრება - საშუალებას აძლევს მოსწავლეს: ა) მიიღოს ახალი ინფორმაცია; ბ) გაიაზროს იგი; გ) შეუთანხმოს უკვე არსებულ ცოდნას;

III ფაზა - რეფლექსია. აქ მთავარია: ა) მიზანმიმართული გააზრება, მიღებული ინფორმაციის განზოგადება; ბ) ახალი ცოდნის, ახალი ინფორმაციის ათვისება; გ) თითოეული მოსწავლის მიერ საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბება შესასწავლი მასალის მიმართ.

ეს მეთოდები მასწავლებლებისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. მათ თითქმის ყველა იყენებს, მაგრამ სხვა სახელით, მაგალითად, ნაცვლად ტერმინისა „გამოწვევა, მოტივი“ უფრო ხშირად გამოიყენება სახელდება „პრობლემის შესავალი“, ანდა „მოსწავლის ცოდნისა და გამოცდილების აქტუალიზაცია“, „გააზრება“ კი იგივე გაკვეთილის ნაწილია, რომელიც ახალი მასალის შესწავლას ემსახურება. ტრადიციულ გაკვეთილზე გვხვდება მესამე სტადიაც - მასალის განმტკიცება და შემოწმება.


რა განსხვავებაა მათ შორის? რას შეიცავს ახალს კრიტიკული აზროვნების ტექნოლოგია?

სიახლის ელემენტებს ის მეთოდური მიდგომები შეიცავს, რომლებიც აღნიშნული ტექნოლოგიის გამოყენებისას ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის თავისუფალი პიროვნული განვითარებისთვის პირობების შექმნაზე - ამ ტექნოლოგიის გამოყენების დროს გაკვეთილის თითოეულ სტადიაზე მიმართავენ შესაფერის მეთოდურ სტრატეგიებს (მიდგომებს), რომლებიც ხელს უწყობს თემისადმი ინტერესის გაზრდას და მასალასთან უშუალო მუშაობას; განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ მოცემული ტექნოლოგია ინტენსიურად ავითარებს წერილობით ტექსტთან მუშაობის უნარებს.

არსებობს კრიტიკული აზროვნების განვითარების სხვადასხვა სტრატეგია, რომელთა გამოყენება ასევე წარმატებით შეგვიძლია „კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით“ ტექნოლოგიის დროსაც.

განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

გააზრების ანუ I სტადიაზე ძალიან წამახალისებელია სტრატეგია „იდეების, ცნებების, სახელების, კალათას“ გამოყენება (იგივეა, რაც „გონებრივი იერიში“), განსაკუთრებით - გაკვეთილის დასაწყისში ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობისთვის, როცა მიმდინარეობს ცოდნისა და გამოცდილების აქტუალიზაცია. იგი იძლევა იმის გამოვლენის საშუალებას, რა იციან და რას ფიქრობენ მოსწავლეები აღნიშნული საგაკვეთილო თემის შესახებ. ამ „კალათაში“ შეგვიძლია მოვათავსოთ ფაქტები, აზრები, სახელები, პრობლემები, თემასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხი. გაკვეთილის მსვლელობისას ეს ფაქტები და აზრები, პრობლემები და ცნებები შეიძლება ლოგიკური ჯაჭვით დავაკავშიროთ ერთმანეთთან (სტრატეგიის მიხედვით, დაფაზე დავხატავთ კალათას, რომელშიც, პირობითად მოვათავსებთ ყველაფერს, რაც იციან მოსწავლეებმა აღნიშნული თემის შესახებ (ეს დავალება ჯერ ინდივიდუალურად სრულდება, მერე - ჯგუფურად, მერე კი ხდება იდეების შეერთება და საერთო თეზისის (თუნდაც მცდარის) გამოყოფა. ყოველი მათგანის ჭეშმარიტება გამოვლინდება თანდათან, ინფორმაციის დაგროვების გზით). მაგალითად:



ტექნოლოგიის „კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით“ ერთ-ერთი მეთოდური სტრატეგიაა ინსერტი, ანუ „შენიშვნების მინდორი“ (იგივეა, რაც შერჩეულ ნიშანთა სისტემა - შნესკა). სტრატეგიის არსი ასე შეიძლება ჩამოვყალიბოთ: „როგორ წავიკითხოთ ტექსტი ისე, რომ ბოლომდე შევინარჩუნოთ ინტერესი“. იგი აქტიური კითხვის მეთოდია და ასეთი მიდგომა ძალიან ეფექტურია გააზრების ანუ II სტადიაზე.

I – interactive	ინტერაქტიული	() - მისთვის ნაცნობი მასალა
N – noting	დიალოგის ფორმის	(+) - ის, რაც ახალია
S – system	სისტემური მონიშვნა	(-) ის, რაც წინააღმდეგობაშია არსებულ ცოდნასთან, ანუ „სხვაგვარად ვფიქრობდი“
E – effective R – reading & T – thinking	ეფექტური კითხვისა და გააზრებისთვის	(?) - ის საკითხები, რომელთა შესახებაც, სურს, მეტი იცოდეს, ანდა ისინი, რომლებიც ვერ გაიგო, ანუ „არის კითხვები“

ამ სტრატეგიის წყალობით ტექსტის კითხვის პროცესი ძალიან ცოცხალი და ხალისიანი ხდება. ამ დროს მოსწავლეები მინდორზე საგანგებო ნიშნებს სვამენ, რაც გამორიცხავს ტექსტის პასიურ წაკითხვას პირველი გაცნობისას. მოსწავლე ყურადღებით კითხულობს, რათა არ გამოეპაროს ის, რაც ნაცნობია, არ იცის, ვერ გაიგო, ან რის შესახებაც მეტის გაგება სურს. ინსერტის დროს აუცილებელი არ არის შენიშვნის გაკეთება ყოველი სტრიქონის გასწვრივ ან მაინცდამაინც განსზღვრული რაოდენობის ნიშნის გამოყენება; მთავარია, მკითხველმა მოახერხოს ტექსტის შინაარსის მთლიანობაში წარმოდგენა.

Insert-ის გამოყენების მაგალითი გეოგრაფიის გაკვეთილზე

გაკვეთილის თემა: „დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და მათი შედეგები“

„კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, მაგრამ ეგონა, რომ აღმოაჩინა ინდოეთისკენ მიმავალი ახალი გზა. ამას მოჰყვა ამერიკის კოლონიზაცია, ევროპელების მიერ ახალი ტერიტორიების დაკავება ამერიკის კონტინენტზე და ამერიკის მკვიდრი მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა. დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ევროპაში დაეცა ოქროს ფასი, ყველა სხვა საქონლისა კი გაიზარდა“.

ნიშანთა სისტემით წაკითხვა:

კოლუმბმა აღმოაჩინა ამერიკა, მაგრამ ეგონა, რომ აღმოაჩინა ინდოეთისკენ მიმავალი ახალი გზა - () - ეს ვიცოდით;

ამას მოჰყვა ამერიკის კოლონიზაცია, ევროპელების მიერ ახალი ტერიტორიების დაკავება ამერიკის კონტინენტზე - (+) -ეს ახალია;

ამავე დროს ამერიკის მკვიდრმა მოსახლეობამ დამოუკიდებლობა დაკარგა - (-) - სხვაგვარად ვფიქრობდი;

დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგ ევროპაში დაეცა ოქროს ფასი, თუმცა დანარჩენი საქონლისა გაიზარდა - (?) - რატომ მოხდა ასე?

გააზრების სტადიაზე ასევე აქტიურად შეგვიძლია გამოვიყენოთ სტრატეგია „ფიშბონი“, ჩანაწერების, მაგალითად, „საბორტო ჟურნალის“ სტრატეგია, კითხვების დასმა და სხვ.

სტრატეგია „Fishbon“ (ფიშბონი). მისი სახელწოდება სიტყვა „თევზს“ უკავშირდება, რადგან სტრატეგიის ვიზუალური გამოსახულება თევზს ჰგავს. იგი საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, გაყონ პრობლემატური თემა მიზეზებად და არგუმენტებად. უმთავრესად იყენებენ გაკვეთილის საწყის ეტაპზე. სამუშაო სრულდება ინდივიდუალურად და ჯგუფებში. მნიშვნელოვანი მომენტია შევსებული სქემის პრეზენტაცია.


მაგალითად,

პრობლემა: ეკოლოგიური პრობლემა წარმოშობს ქვეყნებს შორის კონფლიქტს;

მიზეზი: ატმოსფეროს დაჭუჭყიანება სცილდება ცალკეული ქვეყნების საზღვრებს;

ფაქტი: შვედეთის ტბებში (25 ათასი ტბა) მყავიანობის მომატება, თავის მხრივ, უკავშირდება მეზობელი ქვეყნების (ინგლისი, ნორვეგია) ეკოლოგიურ პრობლემებს; 1975 წელს მალაკსის ყურეში ტანკერის ავარიამ კონფლიქტი წარმოშვა მალაიზიას და ინდონეზიას შორის;

შედეგები: ეკოლოგიური კონფლიქტები ფართოვდება და გლობალური ხასიათი აქვს;



სტრატეგია „პირადი (საბორტო) ჟურნალები“. სტრატეგიის არსი ასეთია: თემის შესწავლისას მოსწავლე ჩანაწერებს აკეთებს. მან უნდა უპასუხოს ორ მთავარ კითხვას: ა) რა ვიცი მოცემული თემის შესახებ? ბ) რა გავიგე ახალი ამ ტექსტიდან? როცა მათ შესაბამის პასუხებს წააწყდება, მას ჟურნალში იწერს. ამ გზით ის იყალიბებს თავის წარმოდგენებს გარე სამყაროს შესახებ, უკეთ შეიმეცნებს მას. ამავე სტადიაზე წარმატებით გამოიყენება სტრატეგია „შეკითხვების დაფა“, რომელიც „წვრილმანი“ და „მსხვილმანი“ შეკითხვებისგან შედგება:

„წვრილმანი“ კითხვები	„მსხვილმანი“ კითხვები
ვინ?	მოიყვანეთ სამი არგუმენტი, რატომ...
რა?	ახსენით, რატომ...
როდის?	რატომ მიგაჩნიათ ასე?
თანახმა ხართ თუ არა?	რა განსხვავებაა?
სწორია თუ არა?	თუ არა, მაშ რა?

რეფლექსიის ანუ III სტადიაზე შეგვიძლია გამოვიყენოთ ისეთი მიდგომები, როგორცაა, მაგალითად, სინკვეინი და კლასტერები.

სტრატეგია „სინკვეინის“ (ფრანგ. ხუთსტრიქონიანი ლექსი, რომელიც დაწერილია განსაზღვრული წესების მიხედვით) გამოყენება მოსწავლისგან სასწავლო მასალის, ინფორმაციის მოკლე შეჯამებას მოითხოვს, ხოლო რამდენიმე


გაკვეთილის შემდეგ მოსწავლეს შეუყვარდება კიდევ მისი გამოყენება.

სინკვეინის წერის წესები ასეთია: **1-ელი ხაზი** - იწერება ერთი სიტყვა - არსებითი სახელი - სინკვეინის თემა; **მე-2 ხაზი** - იწერება განსაზღვრება, რომელიც ხსნის სინკვეინის თემას; **მე-3 ხაზი** - ესაა ზმნა, რომელიც აღწერს სინკვეინის თემისადმი მიკუთვნებულ ქმედებას; **მე-4 ხაზი** - ესაა მთლიანი ფრაზა, რომლის დახმარებით მოსწავლე გამოთქვამს თავის დამოკიდებულებას თემის მიმართ. ეს შეიძლება იყოს მოკლე ფორმის გამოხატულება, ციტატა ანდა მოსწავლის მიერ შედგენილი ფრაზა; **მე-5 ხაზი** - სიტყვა-რეზიუმეა. იგი გამოხატავს სინკვეინის თემისადმი დამოკიდებულებას. მაგალითად,

სინკვეინი	სინკვეინი
<p>კლასი VI. საგაკვეთილო თემა: „საქართველო XI ს-ში“</p> <p>მოსწავლის პასუხი:</p> <ul style="list-style-type: none"> - იოანე მარუშისძე; - ჭკვიანია, გონიერი; - მოაგვარებს პრობლემას, იბრძვის, ფიქრობს; - მან ხელი შეუწყო ქვეყნის გაერთიანებას; - ყოჩაღ! 	<p>კლასი VII. საგაკვეთილო თემა: „რომის რესპუბლიკის დასასრული“</p> <p>მოსწავლის პასუხი:</p> <ul style="list-style-type: none"> - იულიუს კეისარი; - ცბიერია, ჭკვიანი, ნიჭიერი მხედართმთავარი; - მიმზიდველია, ომს იგებს, მართავს; - გახდა რომის დიქტატორი; - დიდი ადამიანია.

რაც შეეხება კლასტერების (სხივი, ვარსკვლავი) შედგენის სტრატეგიას, ის მიზნად ისახავს ამა თუ იმ თემის შესახებ ცოდნის სისტემატიზებას: მოსწავლე ფურცლის შუაში წერს ძირითად ცნებას - ზმნას, შემდეგ კი ხატავს მისგან სხვადასხვა მიმართულებით გამოძვალ სხივებს, რომლებიც ამ სიტყვას სხვასთან აერთებს, იქიდან კი მერე სხვებს უერთდება და ა.შ.

მაგალითად,



ტექნოლოგია „კრიტიკული აზროვნების განვითარება კითხვისა და წერის საშუალებით“ მოიცავს უამრავ სხვა სტრატეგიასაც, რომელიც ხელს უწყობს გააზრებულად სწავლებას და აღზრდას, აზროვნების სისხარტეს, ლოგიკურობას, კრიტიკულ გააზრებას, საკუთარი და სხვისი აზრისადმი პატივისცემას, რომელთა გამოყენებით გაკვეთილი გაცილებით სასიამოვნო, საინტერესო, მრავალგვარი და ცოცხალია.